სსიპ აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრი

67ა აკაკი წერეთლის გამზირი
0119 თბილისი, საქართველო
+995 32 2 19 22 23
gac@gac.gov.ge

18 / დეკემბერი / 2024 წ.

KA990133521823324

№ **GAC-03/1302**

საქართველოს პარლამენტს
საქართველოს პრეზიდენტს
საქართველოს პრემიერ-მინისტრს

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლის შესაბამისად, წარმოგიდგენთ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინიტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის „აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრი“-ს ანგარიშს, 2023 წლის 10 დეკემბრიდან 2024 წლის 10 დეკემბრამდე საანგარიშო პერიოდისთვის:

· საანგარიშო პერიოდში აკრედიტაციის ცენტრში შემოსულია 129 წერილობითი მოთხოვნა საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებით, საიდანაც პასუხი გაცემულია 127 წერილზე, ხოლო 2 წერილზე მიმდინარეობს შესაბამისი პასუხის მომზადება;

· მითითებულ პერიოდში აკრედიტაციის ცენტრს საჯარო ინფორმაციის გაცემასთან/არ გაცემასთან დაკავშირებით დახურული სხდომის ჩატარების თაობაზე გადაწყვეტილება არ მიუღია;

· აკრედიტაციის ცენტრის საჯარო მონაცემთა ბაზა (აკრედიტებულ პირთა რეესტრი) განთავსებულია აკრედიტაციის ცენტრის ვებ-გვერდზე: www.gac.gov.ge და იგი ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის, ქართულ და ინგლისურ ენებზე. აღნიშნული მონაცემთა ბაზა (ელ. ვერსია Excel-ის ფაილში) მუშავდება და ინახება აკრედიტაციის ცენტრის ადმინისტრაციულ სამსახურში. აკრედიტაციის ცენტრის ვებ-გვერდზე ასევე განთავსებულია აკრედიტაციის ცენტრის საქმიანობასთან დაკავშირებული სხვადასხვა სახის ინფორმაცია, როგორც აკრედიტებული ორგანიზაციების ისე სხვა დაინტერესებული პირებისათვის;

· კრედიტაციის ცენტრი მისი ოფიციალური კომუნიკაციისათვის იყენებს დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემას - „დეს“, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამაში შესაბამის მონაცემთა ბაზების შექმნას და შენახვას ავტომატურ რეჟიმში;

· საანგარიშო პერიოდში აკრედიტაციის ცენტრის თანამშრომელთა მხრიდან არ გამოვლენილა ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნათა დარღვევის ფაქტი;

· აკრედიტაციის ცენტრს საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის ან საჯარო დაწესებულების კოლეგიური ორგანოს სხდომის დახურვის მიზნით საჭიროების არ არსებობის გამო საკანონმდებლო აქტები არ გამოუყენებია, რადგან აკრედიტაციის ცენტრის მხრიდან საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმას ადგილი არ ჰქონია, შესაბამისად არც რაიმე გადაწყვეტილება არ გასაჩივრებულა რომელიმე მხარის მიერ;

· საანგარიშო პერიოდში, აკრედიტაციის ცენტრს, საჯარო ინფორმაციის დამუშავებისა და გაცემის, აგრეთვე საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების ან აკრედიტაციის ცენტრის სხდომის დახურვის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრებასთან დაკავშირებით ხარჯები არ გაუწევია.

პატივისცემით,

გენერალური დირექტორი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ნათია მიქელაძე